

1933

საქართველოს ს.ს.რ.



საბჭო. რესპუბლიკის კანონმდებელი ორგანო



მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს  
სამშეთა მმართველობის გამოსცემა

1933 წ. სექტემბრის 15.

№ 18

მ შ ი ლ ი ს ი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### სახელმწიფო მმართველობა

1429.  
246. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ერთიანი სახასიათო სისტემის ჩატარების შესახებ.

### მრეწველობა

247. „სარეწაო კომპარაციის საურთიერეთო დაზღვევისა და საურთიერეთო დაზმარების საღარიბების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მოქმედების მოღადა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქითურთ გავრცელების შესახებ.

### მიწა, ტყე, წყალი, სოფლის მეურნეობა

248. დირექტივები საშემოდგომო თესვის ორგანიზაციისათვის.

249. „ფარიანი მანებლის წინააღმდეგ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე კარანტინის ჩატარების უზრუნველყოფის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

250. კომმუნალური მშენებლობის სასაქონლო ფერმების ცენტთა საკვებით უზრუნველყოფის შესახებ.

### ვაჭრობა, მომარაგება

251. მოღადა საქართველოს სსრ ტერიტორია-

აზე კოლექტიური მეურნეობებისა, კომმუნალური და ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობებისათვის სიმინდის ვაჭრობის აკრძალვის შესახებ.

### კომუნალური და სახანაო მეურნეობა

252. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დებულების მე-2 მუხლის შეცვლისა და მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის და მე-14 მუხლის გაუქმების შესახებ.

253. „დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

## ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

254. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სახელმწიფო მეცხენობის სამმართველოს მიერ გამართული დოლისა და რბენისათვის სახანაობისა და გასართობის ადგილობრივი გადასახადის განაკვეთების დაწესების შესახებ.

255. 1933 წელს სოფლის მეურნეობის თვითდაბეგრვის ჩატარების შესახებ.

## შ რ ა მ ა

256. „შრომის გმირთა შესახებ“ გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 შენიშვნისა და მე-6 მუხლის რედაქციის შეცვლისათვის.

## გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

257. საქართველოს სსრ განათლების მინისტრის



კომისარიატის დებულების მე-5 და 6 მუხლების გაუქმების შესახებ.

258. სალიტერატურო ენის ნორმების დადგენის წესის შესახებ.

259. 1933 წლის შემოდგომის საქართველოს სსრ ტექნიკუმებსა და საქარბნო-საფაბრიკო სკოლებში მსმენელთა მიღების წესის შესახებ.

260. 1933 წლის შემოდგომის საქართველოს სსრ მუშათა ფაკულტეტებზე (მუშუაკი) მსმენელთა მიღების წესის შესახებ.

**ჯანმრთელობის დაცვა**

261. „სამედიცინო დარგის მომუშავეთა პროფსიონალური მუშაობისა და უფლება-მოვალეობათა თათბარზე“ გამოცემული დადგენილების 32 მუხლის შეცვლისა და ამ დადგენილებისათვის 32<sup>1</sup> და 32<sup>2</sup> მუხლების დამატების შესახებ.

**სოციალური უზრუნველყოფა**

262. პერსონალური პენსიების დებულების 31 მუხლის შეცვლის შესახებ.

**სისხლის სამართალი**

263. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისათვის 71<sup>1</sup> და 84<sup>1</sup> მუხლების დამატების შესახებ.

264. შრომა-გასწორების კოდექსში 41, 52 და 53 მუხლების შეცვლისა, 53<sup>1</sup> მუხლის შეტანისა და 49<sup>1</sup> მუხლის გაუქმების შესახებ.

**სასამართლო წუობილება და სამართლის წარმოება**

265. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 23 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ.

266. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 350 მუხლის „ბ“ პუნქტის შეცვლისა და ამავე მუხლისათვის „ბ<sup>1</sup>“ პუნქტის დამატების შესახებ.

**სახელმწიფო მმართველობა**

**246. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.**

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ერთიანი საპასპორტო სისტემის ჩატარებიც შესახებ.

„სსრკავშირში ერთიანი საპასპორტო სისტემის შემოღებისა და პასპორტების ჩაწერის დაწესების შესახებ“ გამოცემული სსრკავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის დეკემბრის 27-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 84 №-ი, მუხ. 516), აგრეთვე „სსრკ-კავშირის მოქალაქეებისათვის სსრკავშირის ტერიტორიაზე პასპორტების მიცემის შესახებ“ 1933 წლის აპრილის 28-ის თარიღით და 861 №-ით (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 28 №-ი, მუხ. 168) და „ქ. ტუილისსა და ბათომში პასპორტების ვაცემის წესის შესახებ“ 1933 წ. ივლისის 9-ის თარიღით და 1454 №-ით (სსრკ კან. კრ. 1933 წ.

46 №-ი, მუხ. 273) გამოცემული სსრკავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებების შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

**I.**

I. ჩატარებულ იქნეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მის შედგენილობაში შეშავალი ავტონომიური რესპუბლიკებითა და ავტონომიური ოლქითურთ,

„პასპორტების შესახებ“ 1932 წლის დეკემბრის 27-ის თარიღით გამოცემული დებულებების საფუძველზე (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 84 №-ი, მუხ. 517), პასპორტების მიცემა მთელი მოსახლეობისათვის ქალაქებსა, მუშათა დასახლებულ დასახლებულ ადგილებში, რომელნიც რაიონულ ცენტრებს წარმოადგენენ, აგრეთვე ყველა ახალ საშენებელზე, სამრეწველო საწარმოში, ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობაში და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის სამყოფელი ადგილის დასახლებულ პუნქტში, შემდეგი ვადების მიხედვით:

ა) 1933 წლის აგვისტოს 15-დან ნოემბრის 1-დე ქალაქ ტფილისში;

ბ) 1933 წლის სექტემბრის 15-დან ნოემბრის 1-დე ქალაქ ბათუმში;

გ) 1933 წლის ოქტომბრის 1-დან ნოემბრის 15-დე ქალ. ქუთაისისა, ფოთისა, თელავისა, სიღნაღისა, გორისა, სტალინისა, ბორჯომისა, ახალციხისა, ახალქალაქისა, ზესტაფონისა, ჭიათურისა, ონისა, სამტრედიისა, ხონისა, ახალსენაკისა, ზუგდიდისა, ჩოხატაურისა და ოზურგეთში;

დ) 1933 წლის ოქტომბრის 15-დან ნოემბრის 20-დე—ღუშეთისა, ყაზბეგისა, თიანეთისა, ყვარელისა, ლაგოდეხისა, აღბულახისა, მანგლისა, წალკისა, ყარაიისა, ბორჩალოსა, ლუქსემბურგისა, ბაჰაიჩეთისა, კასპისა, ბოგდანოვკისა, ადიგენისა, ხორაგაულისა, ჩხარისა, ტყიბულისა, ბაღდადისა, ვანისა, ამბროლაურისა, ცაგერისა, ჩოლურისა, მესტიისა, აბაშისა, ხობისა, მარტვილისა, ჩხოროწყუსა, წალენჯიხისა და ლანჩხუთში;

ე) აფხაზეთის ავტ. სსრ-ში: 1933 წ. ოქტომბრის 1-დან ნოემბრის 15-დე—ქალ. სოხუმში და ოქტომბრის 15-დან ნოემბრის 20-დე—გაგრასა, გუდაუთისა ოჩამჩირისა და ვალში;

ვ) 1933 წლის ოქტომბრის 17-დან ნოემბრის 20-დე—აჭარისტანის ავტ. სსრ-ში: კობულეთისა, ქედისა და ხულოში;

ა) 1933 წლის ოქტომბრის 15-დან ნოემბრის 20-დე—სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში (სტალინირისა, ლენინგორისა, ჯაეასა და ოქონაში).

მოსახლეობისათვის პასპორტების მიცემა ახალსაშენებლებსა, საწარმოებსა, ტრანსპორტსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სამყოფელ ადგილებში უნდა სწარმოებდეს იმ ვადების მიხედვით, რაც დადგენილია იმ რაიონის ცენტრის მოსახლეობის პასპორტიზაციისათვის, რომლის ტერიტორიაზედაც ცხოვრობს საპასპორტიზაციო მოსახლეობა.

2. მოსახლეობისათვის პასპორტების მიცემის საქმის მომზადებისა და ორგანიზაციისათვის წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—მოაწყონ სპეციალური კომისიები საქალაქო საბჭოების და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებისგან მათი მოადგილეების თავმჯდომარეობით და მუშათა და გლეხთა მილიციის საქალაქო ან სარაიონო სამმართველოების უფროსებისა და სარაიონო საკავშირთაშორისო პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენელთა შედგენილობით.

3. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველყონ მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოები, მო-

სახლეობის საპასპორტოზაციოდ 1-ლი მუხლით დადგენილი დაწვებით ვადებთანათვის, სათანადო სადგომებით, რაც მოგვარებულ უნდა იქნეს საპასპორტო მაგიდებისა, საადრესო ბიუროებისა და დროებითი საპასპორტო პუნქტების მოსაწყობად.

## II.

1. მოსახლეობისათვის პასპორტების მიცემა და მოქალაქეთა შემდგომი სავალდებულო ჩაწერა სწარმოებს იმ წესებისა და რიგის მიხედვით, რაც გათვალისწინებულია პასპორტების შესახებ გამოცემული 1932 წ. დეკემბრის 27-ის დებულებით, სსრკავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის აპრილის 28-ის თარიღისა და 851 №-ის დადგენილებით და სსრ კავშირის გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსთან არსებული მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს ინსტრუქციებით, ცირკულარებით და განკარგულებებით.

ქალ. ტფილისისა და ბათუმის მოსახლეობისათვის პასპორტების მიცემა სწარმოებს თანახმად გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსთან არსებული მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებული ინსტრუქციისა, რაც დამტკიცებულია სსრკავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ (იმავე საფუძვლებზე, როგორც მოსკოვსა, ლენინგრადსა და ხარკოვში). ამა დადგენილების 1 კარის 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ ყველა სხვა ადგილის პასპორტი ეძლევა ყველა მოქალაქეს მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სოციალური მდგომარეობის დამოუკიდებლად (აგრეთვე იმ მოქალაქეთ, რომელთაც აღკვეთილი აქვთ ქ. ტფილისისა და ბათომში ცხოვრების უფლება და აგრეთვე იმ ქალაქებში, რაც ჩამოთვლილია სსრკავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის აპრილის 28-ის თარიღისა და 861 №-ის დადგენილების მე-10 მუხლში), სსრკავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1933 წლის იანვრის 14-ს დამტკიცებული ინსტრუქციის მე-3-10 მუხლების წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1933 წ. მე-3 №-ი, მუხ. 22).

2. საჩივარი პასპორტის მიუცემლობაზე და ჩაუწერლობაზე შეიტანება, მომჩივანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სათანადო საქალაქო (ქ. ტფილისში—სარაიონო) საბჭოში ან სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში, 3 დღის ვადაზე უარის შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან, და განიხილება საქალაქო საბჭოსთან და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან (ქ. ტფილისში—სარაიონო საბჭოსთან) მოწყობილი სპეციალური კომისიის მიერ სათანადო საქალაქო (ან სარაიონო) საბჭოს თუ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის თაემდგომარეობით და მუშათა და გლეხთა მილიციის საქალაქო ან სარაიონო სამმართველოს უფროსის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სათანადო ორგანოს წარმომადგენლის შედგენილობით. ამ კომისიის სხდომაზე მონაწილეობას იღებს სარაიონო პროკურორი, კომისიის გადაწყვეტილება სავალდებულოა და არ განისაჩივრება.

მ. პასპორტების გაცემისა და სათანადო ადგილის მოსახლეობის სავალდებულო ჩაწერის შემდეგ ის მოქალაქე:

ა) რომელიც მოვალეა პასპორტი იქონიოს და უპასპორტო აღმოჩენილ შემთხვევაში რომელსაც არ ექნება დროებითი მოწმობა;

ბ) რომელიც სხვა ადგილიდან მივა უპასპორტოდ, ან რომელსაც დროებითი მოწმობა არ ექნება და იგი დადგენილი ვადის განმავლობაში არ აიღებს პასპორტს თუ დროებითს მოწმობას;

გ) რომელიც ცხოვრობს პასპორტის ან დროებითი მოწმობის ჩაუწერავად, და აგრეთვე რომელმაც დაარღვია ჩაწერის წესები, —

დაჯარიმებულ იქნება საადმინისტრაციო წესით 100 მანეთამდე და სათანადო შემთხვევაში განიდევნება იმ ადგილიდან მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოების განკარგულებით (ათი დღის ვადაზე, უკეთუ უარი ეთქვა პასპორტის მიცემაზე, და ერთი დღე-ღამის ვადაზე, უკეთუ უარი ეთქვა ჩაწერაზე).

ჩაწერის წესების განმეორებით დამრღვევი პირი მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 84<sup>1</sup> მუხლის თანახმად.

ის პირი, რომელსაც დაკისრებული აქვს ჩაწერა (სახლის მმართველი, კომენდანტი, სახლის პატრონი, საბინაო-საიჯარო კომპერატიული ამხანაგობის გამგეობის წევრი, ბინის პატრონი და სხვა მისთ.), ჩაწერის წესების დარღვევისათვის დაჯარიმდება საადმინისტრაციო წესით 100 მანეთამდე, ხოლო განმეორებითი დარღვევისათვის მიიცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 84<sup>2</sup> მუხლის თანახმად.

ის პირი, რომელსაც დაკისრებული აქვს პასპორტის და დროებითი მოწმობის მისაღებად საჭირო ცნობების და ნარკვევის მიცემა, გაცემულ დოკუმენტში ტყუილი ცნობების შეტანისათვის მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით, როგორც სამსახურებრივი სიყალბისათვის, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 126 მუხლის თანახმად.

4. ყალბი საპასპორტო ბლანკის გაკეთება გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით, როგორც ყალბი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაკეთებისათვის, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58<sup>22</sup> მუხ. თანახმად.

5. ყალბი პასპორტის გაკეთება და ყალბი პასპორტის ან სხვისი პასპორტის გამოყენება გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 71<sup>1</sup> მუხლის თანახმად.

6. პასპორტების გაცემის შემდეგ იმ ადგილებში, სადაც შემოღებულია საპასპორტო სისტემა, საწარმოს და დაწესებულების ადმინისტრაცია მოვალეა მოსთხოვოს სამუშაოზე მისაღებ ყველა მოქალაქეს პასპორტის ან დროებითი მოწმობის წარდგენა და აღნიშნოს პასპორტში თუ დროებითს მოწმობაში სამუშაოზე შესვლის დრო.

ამ წესების დარღვევაში დამნაშავე თანამდებობის პირი მიცემული უნდა

იქნეს პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 116 მუხლების თანახმად.

საქართველოს  
სამართლებრივი  
სისტემა

### III.

1. შეჩერებულ იქნეს 1933 წლის დეკემბრის 1-დე ქალ. ტფილისსა და ბათუმში მოქმედება:

ა) საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა წესდებების იმ ნაწილისა, რაც ეხება ამხანაგობათა წევრების და აგრეთვე მუშებისა და მოსამსახურეების უფლებას ამხანაგობათა მიერ იჯარით აღებულ მუნიციპალიზებულ სახლებში განთავისუფლებული საცხოვრებელი ფართობის უპირატესად მიღებაზე;

ბ) საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 156<sup>1</sup> მუხლისა (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-14 №-ი, მუხ. 157) მშრომელთა მიერ როგორც ერთი ქალაქის ფარგლებში, ისე სხვადასხვა ქალაქებში საცხოვრებელი ფართობის ერთმანეთისათვის გაცვლის უფლების შესახებ.

2. დაწესებულ იქნეს, რომ მთლად ის საცხოვრებელი ფართობი ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში მათ შორის საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა მიერ იჯარით აღებულ სახლებში) და აგრეთვე კერძო მფლობელობის სახლებში, რაც განთავისუფლდება ქალ. ტფილისიდან და ბათომიდან იმ მოქალაქეთა წიხლის გამო, რომელთაც უარი ეთქვათ პასპორტების მიცემაზე, შედის სათანადო საქალაქო საბჭოს კომუნალურ საბინაო ფონდში.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის თან. აღმ. თ. ჟღენტი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგიერ მ. ვარამაშვილი.

1933 წ. ივლისის 27.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 173 №-ში 1933 წ. ივლისის 29.

## მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

### 247. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ. ს.

„სარწწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების საღაროების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისარათა საბჭოს დადგენილების მოქმედების მთლად საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე, ავტონომიური რესპუბლიკებითა და ავტონომიური ოლქითურთ, გავრცელების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარათა საბჭო ადგენენ:

„სარეწაო კომპრაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების საღაროების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს 1932 წ. ნოემბრის 22-ის დადგენილებების მოქმედება (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-2 №-ი, მუხ. 31) გავრცელებულ იქნეს მთლად საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე, ავტონომიური რესპუბლიკებით და ავტონომიური ოლქებითურ.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მოვ. აღმ. თ. უდგენტი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. შგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. მ. ვარამაშვილი.

1933 წ. ივლისის 27.

ტფილისი.

## მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

### 248. დადგენილება ს.კ.ს. და კ.პ.(ბ) ც.პ.

#### ღირექტივები საშემოდგომო თესვის ორგანიზაციისათვის

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალდებულ პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციებს—დამუშავება-გათოხნის და მოსაელის აღების კამპანიასთან ერთად უკვე ეხლავე,—ისე, რომ არც ერთი დღე არ დაიკარგოს,—ფართოდ გაწალონ მუშაობა საშემოდგომო თესვისათვის მოსამზადებლად, თანაც ამოცანად დაისახონ ყველა იმ ღონისძიების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს საშემოდგომო თესვის უფრო წარმატებით, ვიდრე ოდესმე, ჩატარებას და ამით კულტურების მოსავლიანობის შემდგომ გადიდებას.

საქართველოს სახალხო კომისარიათა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ საჭიროა მოეწყოს უაღრესად სერიოზული ბრძოლა სარეველა ბალახების და სოფლის მეურნეობის მავნებლების, როგორც მოსაელის ყველაზე საშიში მტრების, წინააღმდეგ, რათა ისინი აუცილებლად მოსპობილ იქნენ უახლოეს დროში თანამედროვე აგროტექნიკისათვის ცნობილი ყველა საშუალებით.

ამინდამიხედვით, საქართველოს სახალხო კომისარიათა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევენ მიწსახეობის და სარაიონო პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციებს საშემოდგომო თესვის გეგმას საფუძვლად დაუდევან შემდეგი ღონისძიებანი:

#### თ ე ს დ ბ რ უ ნ ვ ა

დაწყებულ იქნას თესლობრუნვის განხორციელება სიღნაღის, გურჯაანის, ლაგოდეხის, თელავის, სავარეჯოს, ბორჩალოს, ყარაიას, ლუქსმბურგის, გო-

რის და სტალინისის რაიონების კოლმეურნეობებში და ყველა საბჭოთა მეურნეობებში.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

### ნადაგის მომზადება

1. განსაზღვრულ იქნას თვითიველ საბჭოთა მეურნეობასა, კოლმეურნეობასა და ერთპიროვნულ მეურნეობაში—თუ რა წინამორბედი კულტურების შემდეგ იწარმოებს საშემოდგომო და საგაზაფხულო ტექნიკური კულტურების თესვა (ადრიან და გვიან ანეულზე, ნაპურალზე, ნათესი ბალახის შემდეგ, სათხენი კულტურების შემდეგ და სხვა), და ამის მიხედვით ჩატარდეს საჭირო ღონისძიებანი ნადაგის მოსამზადებლად.

2. საშემოდგომო კულტურებისათვის დანიშნული ყველა მიწის ხენა ჩატარდეს ისეთი ანგარიშით, რომ იგი დამთავრდეს ყოველ შემთხვევაში ერთი თვით ადრე მაინც თესვის დაწყებამდე და უზრუნველყოფილ იქნას გვიან ანეულის ხენის დამთავრება უახლოეს ვადაზე.

3. თავთავიანი პურეულისაგან განთავისუფლებულ მიწებზე, რომლებზედაც დაითესება საშემოდგომო პურეული და საგაზაფხულო ტექნიკური კულტურები (ბამბა, კარხალი), უშუალოდ პურეულის აღების შემდეგ (იმავე ან ყოველ შემთხვევაში მეორე დღეს) ჩატარდეს ნაპურალის აოშვა საოში მანქანებით.

4. იმ მიწების ხენა სრულ სიღრმეზე, რომლებიც დანიშნულია საშემოდგომო პურეულისა და ბალახებისათვის და რომლებზედაც აოშვა ჩატარდა, დაწყებულ იქნას ორი-სამი კვირის შემდეგ, ხოლო დანარჩენი მიწების—არა უგვიანეს ორი-სამი დღისა მოსავლის აღებიდან.

5. ანეულის და აგრეთვე ნაპურალის ხენა, როგორც წესი, ჩატარდეს ღრმად, ამასთან ხენის სიღრმე სხვადასხვა ნადაგისათვის ცალკე დაწესდეს.

6. იმ მიწების მზრალად ხენა, რომლებზედაც დათესილი იყო თავთავიანი პურეული ან ბალახი და რომლებიც დანიშნულია ბამბისა და კარხლისათვის, დამთავრდეს არა უგვიანეს სექტემბრის დამლევისა, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას ხენის სიღრმე ბამბისათვის არა ნაკლებ 18-20 სანტიმეტრისა და კარხლისათვის—არა ნაკლებ 20 სანტიმეტრისა.

საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების (თავთავიანი კულტურები და სიმინდი, კარტოფალის, ბოსტნეულისათვის და სხვ. მიწის მზრალად ხენა დამთავრდეს არა უგვიანეს ნოემბრის დამლევისა და ყოველ შემთხვევაში სიცივეების დადგომამდე.

7. უზრუნველყოფილ იქნას მთელი მინდვრის ერთნაირი სიღრმით მოხენა, ამასთან აიკრძალოს ფიგურული ხენა (ველის ფარვანასთან ბრძოლის ინსტრუქციით გათვალისწინებული შემთხვევების გამოკლებით), შემოიხნას სერელების კიდურები გასწვრივ და გასწორდეს ხარვეზები ტრაქტორებით ან ცოცხალი საწვეი ძალით.



8. ანეულზე და ნაპურალ მიწაზე სარეველა ბალახების გაჩენის ან ხნულის პირის შეკვრის დროს დაუყოვნებლივ ჩატარდეს გაფხვიერება ფრთა-მოსხნილ საოში მანქანით (ხოლო საკიროების დროს ფრთამოუსხნილად), კულტივატორით „ზიგზაგის“ ფარცხით, აგრეთვე გადახენის ადგილობრივი იარაღებით (კავი, ჩუთი და სხვ.), როცა სხვა გადახენელი იარაღები საკმარისი რაოდენობით არ მოიპოვება, და მიღწეულ იქნას სარეველა ბალახების საესებით მოსპობა.

9. ჩატარდეს გაფხვიერება უშუალოდ თესვის წინ, ამასთან მიღწეულ იქნას ხნულის სრული მომზადება და მოსწორება; იმ ნაკვეთებზე, სადაც თესვა გაბნევით ჩატარდება, თესვის წინწარმოებული გაფხვიერებით მიღწეულ უნდა იქნას ნიადაგის მხოლოდ ისეთი მომზადება, რაც აუცილებელია, ხოლო ნიადაგის ზედაპირი მოსწორებულ არ უნდა იქნას; გაბნევით თესვის დროს თესლის სათანადო სიღრმეზე მოთავსება მიღწეულ უნდა იქნას წინასწარი ან შემდგომი კულტივაციით და ფარცხით.

10. გასათოხნი კულტურებისაგან (სიმინდი, მზესუმზირა და სხვ.) განთავისუფლებულ მიწებზე, რომლებიც დანიშნულია საშემოდგომო პურეულისათვის, ხენა უნდა ჩატარდეს დაუყოვნებლივ მოსავლის აღების შემდეგ, ამასთან მოსარწყავ მიწაზე უნდა ჩატარდეს სავალდებულო ღრმა ხენა და მიღწეულ იქნას ხნულის სრული მომზადება თესვის წინ საკირო დამუშავების ჩატარებით; მინდორი სიმინდის და მზესუმზირას ღერობისა და ძირებისაგან უნდა განთავისუფლდეს ღრმად მოხენით ან ხელით ამოგლეჯით.

11. ჩატარდეს ყველგან სახნავის გაწმენდა ბუჩქნარისაგან (ამოძირკვა) და ჭებებისაგან, ჩატარდეს ყველაზე უფრო მკაცრი მრავალწლიანი სარეველა ბალახების ამოთხრა, მიჯნების და გზების კოდურების მოთიბვა და მოხენა, არხების შემოთიბვა და სახნავის მახლობლად მდებარე ცარიელი ადგილების მოთიბვა და დახენა.

### ნაკელის შეტანა

სავსებით გამოყენებულ იქნას მთელი არსებული ნაკელი და შეტანილ იქნას იგი მინდვრად ისეთ ვადებზე, რომ იგი არც გაბნეულად და არც გროვად არ დარჩეს ჩაუხნავი ორ-სამ დღეზე მეტ ხანს. ნაკელი ბამბის რაიონებში შეტანილ იქნას უპირველეს ყოვლისა ბამბის მიწებზე, თამბაქოს რაიონებში—თამბაქოს მიწებზე და ბოსტნეულის და კარბლის რაიონებში—ბოსტანისა და კარბლის მიწებზე.

### თესვის ვადები და წესი

1. თესვის დაწყების და დამთავრების ვადები განისაზღვროს თვითნული ნაკეთისათვის ცალკე იმ ანგარიშით, რომ თესვა ჩატარდეს მაქსიმალურად

მოკლე ვადაში და ყველაზე უფრო ხელსაყრელ პერიოდში, რომელიც უზრუნველყოფს აოშეას პირველი სიცივეების დაწყებამდე და თავთავის მომწიფებას ზაფხულის გვალვების დადგომამდე.

2. უზრუნველყოფილ იქნას მწყრივად თესვის ჩატარება, რაც შეიძლება მეტ ფართობზე—მწყრივად მთესავე მანქანების მთელი არსებული რაოდენობის სრულად გამოყენების საშუალებით.

3. დაწესდეს საშემოდგომო პურეულის თესლის ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პურეულის სათანადო სიხშირეს ჯიშის, ნიადაგის პირობების, თესვის წესების და სხვ. მიხედვით.

### საშემოდგომო პურეულის თესვა

1. უზრუნველყოფილ იქნას საშემოდგომო ხორბლის თესვის ჩატარება სასელექციო ჯიშებით—„კოოპერატორკა“ და „უკრაინკა“, რაც შეიძლება მეტ ფართობზე იმ რაიონებში, სადაც ეს ჯიშები მიჩნეული იქნება საუკეთესოდ ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით, ხოლო დანარჩენ ფართობზე თესვა ჩატარდეს მასობრივი შერჩევით გაუმჯობესებული ჯიშებით.

2. ჩატარდეს ხორბლის სასელექციო და ადგილობრივი ჯიშების აპრობაცია და ფართო საზოგადოებრივი დათვალღერება იმ მიზნით, რომ გამორკვეულ იქნას ამ ჯიშების უპირატესობანი მოსაველიანობის, მარცვლეულის ხარისხის, ზამთარგამძლეობის, გვალვაგამძლეობის, წაქცევიანობის, ცვენილობის, სოკოვანი დაავადების და მიენებლობის წინააღმდეგ გამძლეობის და მექანიზებული დამუშავებისათვის ვარგისობის მხრით.

3. ჩატარდეს საბჭოთა მეურნეობებსა, კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში სათესლე ნაკვეთების ამორჩევა მცენარეების და თავთავების უკეთ განვითარებისა, სარეველა ბალახებისაგან უფრო მეტი სისუფთავისა, სოკოვანი დაავადებით უფრო ნაკლებად გაფუჭებისა და სხვ. მიზნის მიხედვით; უზრუნველყოფილ იქნას ხარისხოვანი და გადარჩეული თესლის ცალკე გაღმწვა და შენახვა ისე, რომ არ მოხდეს ამ თესლის უბრალო მარცვალთან შერევა.

4. მუწყოს ხარისხოვანი თესლის გაცვლა უბრალო მარცვალზე, საქართველოს მეთესლეობის კავშირის, „მარცვალდამზადების“ და საბჭოთა მეურნეობების მეშვეობით, აგრეთვე ხარისხოვანი თესლის გაცვლა უბრალო მარცვალზე კოლმეურნეობათა შორის.

5. ჩატარდეს თესლის სავალდებულო გაწმენდა წონის და მოცულობის მიხედვით წინასწარ სანიავებელ-დამახარისხებელ მანქანებზე, ხოლო შემდეგ ტრიერებზე, აგრეთვე მთელი სათესლე მასალის შეწამლვა საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და ერთპიროვნულ მეურნეობებში.

6. უზრუნველყოფილ იქნას სათესლე მასალის შენახვა წინასწარ დეზინფექცირებულ ბელლებში.

7. ჩატარდეს აგვისტოს და სექტემბრის განმავლობაში სათესლე მასალის ხარისხის შემოწმება ყველა საბჭოთა მეურნეობაში და კოლმეურნეობაში და ამორჩევით შემოწმება—ერთპიროვნულ მეურნეობებში.

### სას.-სამ. მანქანება და საწვეი ძალა

1. უზრუნველყოფილ იქნას დასახულ ღონისძიებათა გატარება საჭირო სასოფლო-სამეურნეო მანქანების რაიონებში თავის დროზე შეზიდვით და მთესველამდე მათი დაყვანით, ტრაქტორების და მისაბმელი იარაღების, ცხენის ძალით საწვეი იარაღების, მარცვალსაწმენდი მანქანების და სხვ. კარგი ხარისხის რემონტით, და აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნული იარაღების საუკეთესო ექსპლოატაცია მათი მაქსიმალურად გამოყენების, ნიადაგის დამუშავებელი მანქანების, მარცვალსაწმენდი მანქანების და სათესი მანქანების სწორად დაყენება-გამართვის საშუალებით.

2. გამოყოფილ იქნას ზაფხულის, და შემოდგომის პერიოდში სპეციალური ნაკვეთები მუშა—პირუტყვის საძოვებლად.

8. განაწილებულ იქნას მთელი სატრაქტორო პარკი და მთელი ცოცხალი საწვეი ძალის არსებული რაოდენობა სხვადასხვა სახის სამუშაოების მიხედვით იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას საზაფხულო და საშემოდგომო სამუშაოების მთელი ციკლის (კულტივაცია, თივის აღება, პურეულის აღება და გალენწევა, ნიადაგის მომზადება საშემოდგომო თესვისათვის, მზრალად ხენა და სხვ.) წარმატებით ჩატარება.

### აგროტექპროპაგანდა

გაიშალოს ფართო მუშაობა აგროტექპროპაგანდის დარგში, გამოყენებულ იქნას ამისათვის მისობრივი მუშაობის ყველა ფორმები, დაუმორჩილდეს აგროტექპროპაგანდა საშემოდგომო თესვის კონკრეტულ ამოცანებს ამა თუ იმ რაიონში (თესლბრუნვა, ნიადაგის დამუშავების მეთოდები, სას.-სამ. მანქანების გამოყენება, ბრძოლა სარვეველა ბალახისა და სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ და სხვ.)

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. 3. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალდებნ მიწსახკომს არა უგვიანეს ივლისის დამლევისა, წარმოადგინოს დასამტკიცებლად საშემოდგომო სას.-სამეურნეო კამპანიის გაშლილი გეგმა. მიწსახკომმა და სარაიონო პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა, გეგმების შედგენასთან ერთად, დაუყოვნებლივ დაიწყონ საშემოდგომო თესვისათვის მზადების ღონისძიებათა უშუალოდ განხორციელება, სახელდობრ:

სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტი, ნაპურალის აოშვა, საზაფხულო ხვნა საშემოდგომო კულტურებისათვის, მზრალად ხვნა საზაფხულო ტექნიკური კულტურებისათვის, თესლის გაწმენდა და სხვ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. შვალაშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) ტ.კ-ის მდივანი ლ. ბერია.

1933 წ. ივლისის 10.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 159 №-ში 1933 წ. ივლისის 12, ბოლო შესწორებით—162 №-ში ივლისის 16.

## 249. დადგენილება ს.კ.ს.

„ფარიანი მავნებლის წინააღმდეგ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე კარანტინის ჩატარების უზრუნველყოფის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

„სარგავი მასალის გადაგზავნა-გადმოგზავნის განხორციელების წესის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის ივლისის 5-ის თარიღისა და 1611 №-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

### I.

1-ლი და მე-5 მუხლი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. აპრილის 19-ის დადგენილებისა „ფარიანი მავნებლის წინააღმდეგ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე კარანტინის ჩატარების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-12 №-ი, მუხ. 153) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„1. სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1933 წ. აპრილის 3-ის თარიღისა და 445 №-ის დადგენილებით ფარიანი მავნებლის წინააღმდეგ კარანტინებზე გამოცხადებული მთლად დასაჯელთი საქართველოს, აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა და აჭარისტანიის ავტ. სსრ-ის რაიონები გაერთიანებულ იქნენ ერთ საკარანტინო ზონად და აიკრძალოს ხეხილისა, ვაშისა, ხშილისა, ხე-ტყისა, დეკორატიული და სხვა მისთ. სარგავი მასალის, რა სახითაც უნდა იყოს იგი (ნერგი, რქა, ლერწი, ვაზი, პწყალი, ბოლქვი და სხვა მისთ.), აგრეთვე ცოცხალი მცენარეების საკარანტინო ზონის ან საქართველოს სსრ-ის ფარგლებს გარეთ გატანა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებული „მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის“ საქართველოს ტრესტის საკარანტინო ინსპექციის უნებართვოდ (სერტიფიკატი), რა ნებართვაც გაიცემა მარტოოდენ სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საკავშირო საკარანტინო სასამსახუროს სანქციით; აგრეთვე აიკრძალოს იმავე ობიექტების გადაგზავნა-გადმოგზავნა

საკარანტინო ზონის შიგნითვე და საქართველოს სსრ ცალკეულ რაიონებს შორის საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ „მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის“ საქართველოს ტრესტის საკარანტინო ცენტრის სპეკციის უნებართვოდ (სერტიფიკატი).

**შენიშვნა.** ეს მუხლი არა ვრცელდება საბოსტნე ჩითილზე და მოკრილ ყვავილებზე, იმ შემთხვევების გამოკლებით, რაც აღნიშნულია სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სპეციალურ განკარგულებებში; არა ვრცელდება აგრეთვე იმ ყვავილებზე, რაც სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დადგენილებით თუ განკარგულებით ცნობილ იქნება შემდგომში, ახალი სამეცნიერო საბუთების საფუძველზე, არა საშიშრად ფარიანი მავნებლის გავრცელების მხრით\*.

„5. მიენდოს ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციას, საქართველოს სსრ-ის შავი ზღვის სანაპიროს საპორტო სამმართველოებს და კავშირგამბელოების სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქ. სსრ სახ. კომ-თა საბჭოსთან — დაუყოვნებლივ გასცენ განკარგულება, — შემდგომ ამ საკითხის სათანადო საერთო-საკავშირო ცენტრებთან შეთანხმებით, — რათა 1-ლ მუხლში აღნიშნული ტვირთი და ამანათები მიიღებოდეს მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც გამგზავნელი წარადგენს ამ მუხლში აღნიშნულ სერტიფიკატებს“.

## II.

სარგავი მასალის გადაგზავნ-გადმოგზავნის საქმეში შესაძლებელ დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად დაევალოს ყველა სამეურნეო სისტემის და ორგანიზაციას — შეადგინოს ხოლმე თავისი სისტემის სარგავი მასალის და ცოცხალი მცენარეების მიღებისა და გაშვების ზედმიწევნითი კვარტალური გეგმები — თვით რაიონებისა და სოფლების თანაართვით — და თავის დროზე გადასცეს ეს გეგმები საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის საქართველოს ტრესტის საკარანტინო ინსპექციას.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მაგლობლიშვილი.

საქ. ს.ს.რ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. ვ. ლუნევიჩი.

1933 წ. აგვისტოს 2.

ტილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნიატის“ 208 №-ში 1933 წ. სექტემბრის 9.

## 250. დადგენილება ს.კ.ს.

კოლმეურნეობათა მეცხენეობის სახაქონლო ფერმების ცხენთა საკვებით უზრუნველყოფის შესახებ.

კოლმეურნეობათა მეცხენეობის სასაქონლო ფერმების ცხენთა საკვებით უზრუნველყოფის შესახებ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისარიატის საბ-

კოს 1933 წლის ივნისის 26-ის თარიღისა და 1298 №-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც მეცხენეობის სასაქონლო ფერმების აქვთ, დაკონტრაქტებულ უნდა იქნეს მხოლოდ თივის ზედმეტი სასაქონლო ნაწილი, რაც გადაარჩება საკუთარი ცხენების საკვები მოთხოვნილების დაკმაყოფილებისას.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს მეცხენეობის სასაქონლო ფერმების მქონე კოლმეურნეობათათვის საკვები ბაზის შექმნა საძოვრებით და სათიბებით, თანაც შემოიღოს ამ კოლმეურნეობებში სათანადო თესლბრუნვა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. ვ. ლუნეცვიჩი.

1933 წ. ივლისის 31.

ტფილისი.

## ვაჭრობა. მომარაგება

### 251. დადგენილება ს. კ. ს.

მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეობებისა და ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობებისათვის სიმინდის ვაჭრობის აკრძალვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეობებისა და ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობებისათვის დროებით პურეულის ვაჭრობის აკრძალვის შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის ივნისის 17-ის დადგენილების მოქმედება გავრცელებულ იქნეს აგრეთვე სიმინდის ვაჭრობაზე მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მის შედგენილებაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებითა და ავტონომიური ოლქითურთ.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივნისის 23-ის დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სიმინდის საკოლმეურნეო და ინდივიდუალური საგლეხო ვაჭრობის წესის შესახებ“ გაუქმებულ იქნეს.

3. მიენდოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში და მომარაგებისა, ფინანსთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებს—მისცენ თავიანთ ადგილობრივ ორგანოებს სათანადო დირექტივები და გააუქმონ ყველა ცირკულარი, ინსტრუქცია და ბრძანება, რაც ეწინააღმდეგება ამა დადგენილებას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგილე გ. თათიშვილი

1933 წ. აგვისტოს 3.

ტფილისი.

## კომუნალური და საბინაო მეურნეობა



### 252. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დებულებების მე-2 მუხლის შეცვლისა და მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის და მე-14 მუხლის გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების მე-12 და 24 მუხლების შესაბამისად (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-19 №-ი, მუხ. 146; 1933 წ. მე-9 №-ი, მუხ. 111), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დებულებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 22 №-ი, მუხ. 234; 1932 წ. 21 №-ი, მუხ. 198) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი, ექვემდებარება რა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს, ანხორციელებს თავისი მოქმედებით აგრეთვე სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კომუნალური მეურნეობის სრულიად საქართველო საბჭოს დირექტივებს“.

2. მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი და მე-14 მუხლი გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარის მოვ. აღმ. თ. ჟღენტი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივნის მაგ. მ. ვარამაშვილი.

1933 წ. ივლისის 27.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 198 №-ში 1933 წ. აგვისტოს 28.

### 253. დადგენილება ს.კ.ს.

„დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მე-2 მუხლი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 14-ის დადგენილებისა „დამატებითი საცხოვრებელი ფართობის შესახებ“ (საქ. სსრ. კან. კრ. 1931 წ. მე-3 №-ი, მუხ. 40) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. დამატებითი ფართობი, საცხოვრებელი ფართობის დაწესებული საერთო ნორმის ზედმეტად, მიეცემათ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ

პირთ ცალკე ოთახის სახით. უკეთეს ცალკე ოთახი არ არის, დამატებითი ვაჭრობი აღნიშნულ პირთ მიეცემათ 10 კვადრატული, მეტრის რაოდენობით, ხოლო სამეცნიერო დარგის მომუშავეთ—არა ნაკლები, ვიდრე 20 კვადრატული მეტრის რაოდენობით\*.

2. აღნიშნული დადგენილების იმავე მე-2 მუხლის შენიშვნა გაუქმებულ იქნეს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თ.კმუდომარე გ. შვალაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. გ. თათიშვილი.

1933 წ. ივლისის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 173 №-ში 1933 წ. ივლისის 29.

## შ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

### 254. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

იწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სახელმწიფო მეცხენეობის სამმართველოს მიერ გამართული დოღისა და რბენისათვის სანახაობისა და გახართობის ადგილობრივი გადასახადის განაკვეთების დაწესების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭო ადგენენ:

#### I.

1. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სახელმწიფო მეცხენეობის სამმართველოს მიერ გამართულ დოღსა და რბენაზე მიმსვლელთათვის დაწესებულ იქნეს სანახაობისა და ვასართობის ადგილობრივი გადასახადის შემდეგი მტკიცე განაკვეთები:

ა) შესასვლელ ბილეთებზე—ბილეთის ფასის 25%.

ბ) ტოტალიტატორის ბილეთებზე—ბილეთის ფასის 10%.

2. წინადადება მიეცეს საფინანსო ორგანოებს—მოახდინონ ხსენებული ადგილობრივი გადასახადის გარდაანგარიშება ზემოაღნიშნული განაკვეთების კვალობაზე 1932 და 1933 წლების ნარჩენისათვის.

#### II.

1. „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილების 21 მუხლის „თ“ პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 71; მე-10 №-ი, მუხ. 113) მიღებულ იქნეს შემდეგნაირადაქციით:



[„21. სანახაობისა და გასართობის გადასახადისათვის დაწესებულია შემდეგი მტკიცე განაკვეთები:..]

„თ) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სახელმწიფო სამმართველოს მიერ გამართული დოლისა და რბენისათვის—შესასვლელი ბილეთის ფასის 25% და ტოტალიზატორის ბილეთის ფასის 10%“.

2. ამავე დადგენილებების 21 მუხლის „ი“ პუნქტი ამოშლილ იქნეს.  
 სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.  
 საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.  
 სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი თ. უღენტი.

1933 წ. ივლისის 10.

ტფილისი.

## 255. დადგინილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

1933 წელს სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის ჩატარების შესახებ.

„1933 წლისთვის სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარიატის საბჭოს 1933 წ. მაისის 25-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 32 №-ი, მუხ. 189), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ. სახალხო კომისარიატის საბჭო ადგენენ:

1. მოსახლეობის თვითდაბეგვრა მისი კულტურულ და სამეურნეო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სწარმოებს საქართველოს სსრ-ში 1933 წ. სოფლად, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში და ქალაქებში, გარდა ქალ. ტფილისისა, ბათუმისა, სოხუმისა, ქუთაისისა, ფოთისა, თელავისა, სიღნაღისა, ბორჯომისა, ჭიათურისა და გაგრისა, ზემო-სვანეთის რაიონისა, დუშეთის რაიონის ბაკალივოს, ბარისაბოს, არხოტის და შატლის სასოფლო საბჭოების სოფლებისა და თიანეთის რაიონის სოფლების ხაშალის და ბაჩალისა.

2. თვითდაბეგვრით შეკრებილი სახსარი შედის სასოფლო და სარაიონო ბიუჯეტებში და იხარჯება კულტურულ და სამეურნეო ღონისძიებებზე.

3. თვითდაბეგვრის ჩატარება შეიძლება მხოლოდ უწყვეტული სოფლის საბჭოთა საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა საერთო კრების დადგენილებით.

თვითდაბეგვრის შემოღებისათვის საჭიროა კრებას დაესწროს უწყვეტული სოფლის საბჭოთა საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა საერთო რიცხვის ნახევარი მაინც. უკეთეს კრებაზე არ გამოცხადდა მოქალაქეთა ასეთი რაოდენობა, მოიწვევა მეორე კრება, რომელიც ითვლება უფლებამოსილად, თუ კრებაზეა მოქალაქეთა საერთო რიცხვის ერთი მესამედი.

თვითდაბეგვრა შეიძლება კრებაზე დასწრე მოქალაქეთა ხმის უმეტესო-

ბით. კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებანი სავალდებულოა ყველა მოქალაქე სათვის.

4. მოქალაქეთა საერთო კრება იხილავს იმ ღონისძიებათ, ბულ უნდა იქნეს თვითდაბეგვრით შეკრებილი სახსრით, და აწესებს თვითდაბეგვრის განაკვეთებს ვადამხდელთა ცალკეული კატეგორიებისათვის ამა დადგენილებით გათვალისწინებულ ფარგლებში; აგრეთვე აწესებს თვითდაბეგვრის გამოსაღების შეტანის ვადებს.

შენიშვნა. თვითდაბეგვრის გამოსაღების შეტანის ვადები განისაზღვრება ისეთი ვარაუდით, რომ გამოსაღების გადახდა დაწყებულ იქნეს არა უგვიანეს 1933 წ. სექტემბრის 1-ისა და დამთავრდეს 1933 წ. დეკემბრის 1-თვის.

5. თვითდაბეგვრაში მონაწილეობას იღებენ:

- ა) კოლმეურნენი;
- ბ) ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობანი;
- გ) მუდმივ სოფლად მცხოვრები მოქალაქენი, თუნდაც ისინი სოფლის მეურნეობას არ აწარმოებდენ.

6. თვითდაბეგვრაში მონაწილეობას არ იღებენ სოფლის მეურნეობის არამწარმოებელი:

- ა) მუშები, მოსამსახურეები, კოოპერირებული შინამრეწველები და ხელოსნები;

ბ) ვადიანი (შეუწყვეტელი) ან ზევადიანი სამსახურის მერიგეთა და უმცროს თავმდგომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახურნი; მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კადრებში და რეზერვში მყოფი საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახურნი;

გ) მუშათა და გლეხთა მილიციის და შრომა-გასწორების დაწესებულებათა ოპერატიულ-სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირნი და გამხდრობული დაცვის სამსახურში მყოფი პირნი;

დ) სსრკ-სა, ა/კლსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის ან სხვა მოკავშირე თუ ა/კლსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ორდენებით ან საპატიო რევოლუციონური იარაღით დაჯილდოებული პირნი; აგრეთვე შრომის გმირნი;

ე) ინვალიდობის პირველი, მეორე და მესამე ჯგუფისთვის მიკუთვნებული ომის და შრომის ინვალიდები;

ვ) პენსიონერები, რომლებიც იღებენ პენსიას სახელმწიფო ორგანოებისაგან ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან და რომელთაც სხვა შემოსავალი არ აქვთ;

ზ) სტიპენდიაზე მყოფი მოსწავლენი.

შენიშვნა. „ბ“ პუნქტში ჩამოთვლილი სამხედრო მსახურნი თვითდაბეგვრაში მონაწილეობას არ იღებენ აგრეთვე იმ შემთხვევაშიაც, უკეთეს ისინი დათხოვნილ არიან გრძელვადიან შევსებულებაში, სათადარიგოდ ან სრულიად სამსახურიდან 1933 წ. იანვრის 1-ის შემდეგ.

7. კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის და აგრეთვე თვითდაბეგვრის მტკიცე განაკვეთებით დასაბეგრი ინდივიდუალური მშრომელი მეურნეობებისათვის უკეთეს მათი მეურნეობის შედგენილობაში არიან მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტებში ჩამოთვლილი პირობი, თვითდაბეგვრის რაოდენობა მცირდება 25%-ით, ხოლო, უკეთეს მეურნეობაში სხვა შრომაუნარიანი მამაკაცი არ არის — 50%-ით.

8. კოლმეურნეთა და ინდივიდუალური მეურნეთა მეურნეობანი თვითდაბეგვრაში მონაწილეობას იღებენ შემდეგი რაოდენობით:

გადამხდელთა კატეგორიები.	თვითდაბეგვრის რაოდენობა მეურნეობაზე
I. იმ კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომელთაც არა აქვთ არაგანსაზოგადოებელი შემოსავალი, ან რომელნიც 1933 წელს განთავისუფლებულ არიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან . . . . .	5 მან.
II. კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომლებიც 1933 წელს დაბეგვრილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადით . . . . .	8 მანეთიდან 16 მან-დღ.
III. ინდივიდუალური მშრომელი მეურნეობანი, რომლებიც 1933 წელს განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან . . . . .	8 მან.
IV. ინდივიდუალური მშრომელი მეურნეობანი, რომლებიც 1933 წელს დაბეგვრილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადით მტკიცე განაკვეთების კვალობაზე . . . . .	12 მანეთიდან 20 მან-დღ.
V. ინდივიდუალური მშრომელი მეურნეობანი, რომლებიც 1933 წელს დაბეგვრილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადით პროგრესიული განაკვეთების კვალობაზე . . . . .	სას.-სამ. გადასახადის განაკვეთის 60%-დან 100%-დე, ხოლო არა ნაკლებ მე-IV კატეგორიისათვის მიღებული განაკვეთისა.

თვითეულ სოფელში დაიდგინება ერთიანი მტკიცე განაკვეთი მე-II კატეგორიის ყველა მეურნეობისათვის, ერთიანი მტკიცე განაკვეთი მე-IV კატეგორიის ყველა მეურნეობისათვის და თანაბარი პროცენტული შეფარდება თვითდაბეგვრისა სასოფლო-სამეურნეო გადასახადთან მე-V კატეგორიის ყველა მეურნეობისათვის.

სასოფლო საბჭოებს უწევდა აქვთ გაანთავისუფლონ ნაწილობრივ ან სრულიად თვითდაბეგვრისაგან კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა ცალკეული მეურნეობანი, რომლებიც 1933 წელს განთავისუფლებულია ნაწილობრივ ან სრულიად სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან.

9. სოფლად მცხოვრები არაკოოპერირებული შინამრეწველები და ხელოსნები, რომელნიც სოფლის მეურნეობას არ მისდევენ, და სხვა მოქალაქენი, რომ-

მელთაც აქეთ შრომის შემოსავალი არა დაქირავებით, თვითდაბეგვრაში მონაწილეობას იღებენ შემდეგი რაოდენობით:

ეროვნული  
საბჭოთაობის

თვითდაბეგვრის რაოდენობა მანეთობით.	თვითდაბეგვრა საშოვარის რაოდენობა
7 მან.	75 მანეთამდე . . . . .
15 "	75 მანეთზე მეტი 125 მანეთამდე . . . . .
20 "	125 " " 175 " . . . . .
45 "	175 " " 225 " . . . . .
60 "	225 " " 275 " . . . . .
80 "	275 " " . . . . .

სასოფლო საბჭოებს უფლება აქვთ ცალკეულ შემთხვევაში გაანთავისუფლონ თვითდაბეგვრისაგან არა სამიწათმოქმედო შემოსავლის მქონე მოქალაქენი, უკეთეს ეს შემოსავალი 40 მან. არ აღემატება თვიურად.

10. კულაკური მეურნეობანი იბეგრებიან თვითდაბეგვრის წესით 1933 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 200%-ის რაოდენობით.

11. არა შრომის შემოსავლის მქონე პირნი, რომელნიც სოფლის მეურნეობას არ მისდევენ და იბეგრებიან საშემოსავლო გადახდით, თვითდაბეგვრაში მონაწილეობას იღებენ იმ თანხის 100%-ის რაოდენობით, რაც მათ დაეკისრებოდათ, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით რომ ყოფილიყვნენ დაბეგრდნენ თვითნაირი შემოსავლის კვალობაზე.

12. საერთო კრების დადგენილებას თვითდაბეგვრის შესახებ სასოფლო საბჭო წარუდგენს, თავის დასკვნითურთ, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს განსახილველად.

უკეთეს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი ათი დღის ვადაზე არ აცნობებს სასოფლო საბჭოს, რომ დადგენილება გაუქმებულია, დადგენილება ითვლება ძალაში შესულად და სავალდებულოა უწყებული სოფლის ყველა მოქალაქისათვის.

13. სასოფლო საბჭო აგროვებს თვითდაბეგვრის თანხებს მოქალაქეთა საერთო კრების მიერ დადგენილ ვადაზე.

თვითდაბეგვრის გამოსაღების ნარჩენი გადაიხდებიან იმავე წესით, რაც დადგენილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდებიანებისათვის.

14. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 24-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ—შემდგომი ცვლილებებით (საჭ. სსრ კან.

კრ. 1931 წ. მე-17 №-ი, მუხ. 184; 24 №-ი, მუხ. 257; 1932 წ. 23 №-ი, მუხ. 227).

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის კომიტეტის თავმჯდომარის დრ. აღმ. თ. უღუნტი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარის მოადგილე ა. ფანცხავა.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდიენის მაგ. მ. ვარაშაშვილი.

1933 წ. ივლისის 25.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 172 №-ში 1933 წ. ივლისის 26.

## შ რ მ მ ა

### 256. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„შრომის გმირთა შესახებ“ გამოცემული დადგენილებების მე-3 მუხლის მე-2 შენიშვნისა და მე-6 მუხლის რედაქციის შეცვლისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

„შრომის გმირთა შესახებ“ გამოცემულ 1933 წლის ივლისის 11-ის დადგენილებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-12 №-ი, მუხ. 115; 1930 წ. მე-10 №-ი, მუხ. 106) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-5 მუხლის მე-2 შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

შენიშვნა 2. უკეთუ შრომის გმირი იმ პირთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებზედაც ვრცელდება დებულება „საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმჯდომთა შედგენილობის პირებისა, ზეგადიანი სამსახურის უმცროს თავმჯდომთა და მერიგეთა შედგენილობის პირებისა და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო-საპაერო ძალების სკოლათა კურსანტებისა და აგრეთვე მათი ოჯახების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1931 წ. მე-11 №-ი, მუხ. 119), მას აქვს პენსიაზე ისეთივე უფლება, რაც 30 და მეტ წელს ნამსახურ პირს (დებულების 27 მუხ.), იმისდამოუხედავად, თუ რამდენ ხანს მსახურობდა იგი მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში.

უკეთუ შრომის გმირი განაგრძობს მუშაობას მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კადრებსა თუ რეზერვში, ან დაქირავებით მუშაობს, მას, მიუხედავად იმ ფულადი კმაყოფისა, რაც საშტატო თანამდებობის კვალობაზე ერგება, ეძლევა ნახევარი პენსია“.

2. მე-6 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„6. უკეთუ შრომის გმირი გარდაიცვალა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა, მის რჩენაზე მყოფი ოჯახის წევრებს, რომელნიც ჩამოთვლილ არიან „სოციალური დაზღვევის წესით გასაცემი პენსიისა და დახმარების დებულების“ მე-5 მუხლში

(სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-11 №-ი, მუხ. 132), ეძლევათ პენსია, როცა უნდა შეადგენდეს შრომის გმირის სრული პენსიის ორ-მესამედს, როდესაც უზრუნველსაყოფია სამი ან მეტი პირი, ნახევარს, როდესაც უზრუნველსაყოფია ერთი პირი და ერთ-მესამედს, როდესაც უზრუნველსაყოფია ერთი პირი\*.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარის მოვ. აღმ. თ. ფლენტი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. შვალაბლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდიენის მაგ. მ. ვარამაშვილი.

1933 წ. ივლისის 27.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 193 №-ში 1933 წ. აგვისტოს 22.

## გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

### 257. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დებულების მე-5 და 6 მუხლების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების 24 მუხლთან დაკავშირებით (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-9 №-ი, მუხ. 111) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დებულების მე-5 და 6 მუხლები (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 22 №-ი, მუხ. 210) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარის მოვ. აღმ. თ. ფლენტი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. შვალაბლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდიენის მაგ. მ. ვარამაშვილი.

1933 წ. ივლისის 27.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 189 №-ში 1933 წ. აგვისტოს 17.

### 258. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სალიტერატურო ენის ნორმების დადგენის წესის შესახებ.

თანამედროვე ქართულ სამწერლო ენაში უმართებულო და მახინჯი ფორმების მოსპობისა და ერთიანი სავალდებულო ნორმების დაწესების მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ენის სადაო საკითხების დოკუმენტალური შეცნიერული შესწავლა წარ-

მოებდეს სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ენის სექციაში.

2. დამუშავებულ საკითხთა შემდგომი განხილვა და სავალდებულო წინადადებათა დაწესება წარმოებდეს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოში.

3. ამ მიზნით სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოში მოწყობილ იქნეს სპეციალური კომისია, რომელშიაც, გარდა სახელმწიფო საბჭოს სათანადო სექციის წევრებისა, შევლენ: ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომისიის პრეზიდიუმი და ამავე კომისიის ენათმეცნიერი წევრები, მწერალთა კავშირის ორი წარმომადგენელი და სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქართული დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის, „სახელგამის“ და გაზ. „კომუნისტის“ თითო წარმომადგენელი.

5. წარდგენილ იქნეს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოში დასამტკიცებლად ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომისიის მიერ უკვე დამუშავებული მასალა ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ენის სექციაში ამ მასალის წინასწარი განხილვის შემდეგ.

6. დაველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს—შეიმუშაოს საკითხთა განხილვის კალენდარული გეგმა იმ ვარაუდით, რომ 1934 წლის იანვრის 1-თვის დამთავრებულ იქნეს ძირითად საკითხთა განხილვა და დამტკიცება, და შემუშავებული მასალა წარმოედგინოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს საბოლოო დამტკიცებისათვის.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი თ. ჟღენტაი.

1933 წ. ივნისის 27.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 204 №-ში 1933 წ. სექტემბრის 4.

## 259. დადგენილება ს.კ.ს.

1933 წლის შემოდგომას საქართველოს სსრ ტექნიკუმებზე და საქარზნო-საფაბრიკო სკოლებში მსმენელების მიღების წესის შესახებ.

1933 წლის შემოდგომას საქართველოს სსრ ტექნიკუმებსა და საქარზნო-საფაბრიკო სკოლებში მსმენელთა მიღების წესის დამყარების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა უწყების ტექნიკუმსა და საქარზნო-საფაბრიკო სკოლაში მიიღებიან ახალგაზრდები ასაკით 15 წლიდან 21 წლამდე, რომელთაც აქვთ დამთავრებული საქარზნო-საფაბრიკო შვიდწლიანი და საკოლმეურნეო ახალგაზრდობის სკოლა, ან აქვთ მოწმობა, რომელიც ანიჭებს მათ აღნიშნული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა უფლებას.

შენიშვნა. ქიმიურ ტექნიკუმებში და ცხელ და მანევ საამქროებთან

არსებულ სკოლებში მიიღებიან ახალგაზრდები ასაკით 17 წლიდან 21 წლამდე, ხოლო მუსიკალური ტექნიკუმების ვოკალურ განყოფილებებში ასაკით 18 წლიდან 25 წლამდე.

2. ტექნიკუმებსა და საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში მიღება სწარმოებს თავისუფალი წესით. შემსვლელმა უშუალოდ უნდა შეიტანოს განცხადება საქრო დოკუმენტებითურთ იმ სასწავლებელში, სადაც მას ჰსურს შესვლა.

3. ტექნიკუმების და საქარხნო-საფაბრიკო სკოლების სათანადო მომზადების მქონე კონტინგენტით უზრუნველყოფის მიზნით სწარმოებს შემსვლელთა აკადემიური შემოწმება შემდეგ საგნებში: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერითი და ზეპირი), მათემატიკასა (წერითი და ზეპირი), საზოგადოებათმცოდნეობასა, ფიზიკასა და ქიმიასში.

4. ტექნიკუმებსა და საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში მიღების დროს აკადემიური შემოწმების გარდა სწარმოებს სოციალური შერჩევა. პირველ რიგში მიიღებიან მუშები და მათი შვილები, ყოფილი წითელი პარტიზანების და შრომის გმირების (ან სსრ კავშირის და სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების ორდენებით დაჯილდოებულთა) შვილები, კოლმეურნეები და მათი შვილები, წითელარმიელები და მათი შვილები, მასწავლებლების და სპეციალისტების შვილები.

5. აკადემიური შემოწმების და სოციალური შერჩევის შედეგების მიხედვით მსმენელად ჩარიცხვას აწარმოებს მიმღები კომისია, რომელიც არსდება თვითთულ სასწავლებელთან შემდეგი შედეგნილობით: ა) სკოლის დირექტორი (თავმჯდომარე), ბ) პარტ-რაიკომის წარმომადგენელი, გ) ალკ-ის რაიკომის წარმომადგენელი, დ) სახალხო განათლების სარაიონო განყოფილების წარმომადგენელი, ე) იმ სახალხო კომისარიატის ან სამეურნეო ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომლის გამგებლობაშიაც სასწავლებელია, და ვ) სკოლის ორგანიზაციების წარმომადგენელი (პარტუჯრედი, კომკავშირის უჯრედი, პროფორგანიზაცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა).

6. ტექნიკუმებსა და საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში შემსვლელმა უნდა წარუდგინოს სასწავლებლის დირექტორს შემდეგი მოწმობები: ა) მოწმობა სწავლის შესახებ, ბ) მოწმობა მისი და მშობლების სოციალური მდგომარეობის შესახებ, გ) ფსიქოტექნიკური კაბინეტის ან რაიონული ექიმის მოწმობა ჯანმრთელობის შესახებ, დ) დაბადების მოწმობა (მეტრიკული ამონაწერი), ე) მოწმობა სამხედრო ბეგარისადმი დამოკიდებულების შესახებ, ვ) ცნობა შემსვლელის და მისი მშობლების მუშაობის სტაჟის შესახებ და გ) ორი ფოტოგრაფიული სურათი, სათანადო ორგანიზების მიერ დამოწმებული.

7. განცხადებების მიღება სწარმოებს ივლისის 15-დან აგვისტოს 15-მდე. აგვისტოს 15-დან აგვისტოს 25-მდე სწარმოებს აკადემიური მომზადების შემოწმება, ხოლო სექტემბრის 1-თვის მთავრდება მთლად საორგანიზაციო მუშაობა.

8. სექტემბრის 1-დან იწყება მეცადინეობა; ის მოსწავლე, რომელიც სწავლის დაწყებიდან ხუთი დღის განმავლობაში არ გამოცხადდება სასწავლებელში



არაპატივსაცემი მიზეზის გამო, ამოირიცხება მსმენელთა სიიდან, და მის ნაცვლად ჩაირიცხება კანდიდატი.

9. მიღების დამთავრების შემდეგ, ხოლო არა უგვიანეს სექტემბრის 1-ე რიცხვის სასწავლებლების დირექტორები წარუდგენენ თავიანთი უწყების კადრების სექტორის წერილობით მოხსენებას, მოსწავლეთა აკადემიური შემოწმების შედეგების დამახასიათებელი მასალის დართვით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მაგ. ვ. ლუნკევიჩი.

1933 წ. ივლისის 31.

ტფილისი.

გამოვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 178 №-ში 1933 წ. აგვისტოს 4.

## 260. დადგენილება ს.კ.ს.

**1933 წლის შემოდგომის საქართველოს სსრ მუშათა ფაკულტეტებზე (მუშფაკი) მსმენელთა მიღების წესის შესახებ.**

1933/1934 სასწავლო წელს საქართველოს სსრ მუშათა ფაკულტეტებზე მსმენელთა მიღების წესის დამყარების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისარათა საბჭო ადგენს:

1. მუშათა ფაკულტეტზე მსმენელებად მიიღებიან შემდეგი პირები, ასაკით 18 წლიდან 30 წლამდე:

ა) მუშები, რომელთაც აქვთ მუშფაკში მიღების დროისთვის საწარმოში, საბჭოთა მეურნეობაში, ტრანსპორტზე და სხვა შენაერთში ფიზიკური მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ სამი წლისა;

ბ) კოლმეურნეები, მოჯამაგირეები და ლარიბი გლეხები, რომელთაც აქვთ მუშფაკში მიღების დროისთვის სოფლის მეურნეობაში ფიზიკური მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ სამი წლისა.

**შენიშვნა.** იმ მუშებს, რომელთაც შესწევთეს კავშირი წარმოებასთან სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო, სამხედრო სამსახური ჩათვლებათ ფიზიკური შრომის სტაჟში.

2. კომუნისტური პარტიის (ბ) და კომკავშირის წევრი მუშა, კოლმეურნე და გლეხი, რომელსაც არა აქვს 1-ლ მუხლში აღნიშნული ფიზიკური მუშაობის სრული სტაჟი. მიიღება მუშფაკში ორი წლის ფიზიკური შრომის სტაჟითაც, უკეთეს მას აქვს პარტიული ან კომკავშირული სტაჟი არა ნაკლებ სამი წლისა.

**შენიშვნა 1.** მუშა-ქალის, კოლმეურნე-ქალის და ლარიბი გლეხ-ქალის ფიზიკური მუშაობის სტაჟი შემცირებულ უნდა იქნეს ერთი წლით.

**შენიშვნა 2.** თურქულ და ოსურ მუშფაკში შემსვლელ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლისათვის ფიზიკური მუშაობის სტაჟი განისაზღვრება ერთი წლით.

3. მუშფაკში მსმენელებად პირველ რიგში ჩაირიცხებიან დამკვეთელი მუშები და დამკვერელი კოლმეურნეები.

4. დამკვერელი-მუშების, დამკვერელი-კოლმეურნეების, ყოფილი წითელი ჯარტიზანების, დამკვერელი სპეციალისტების, შრომის გმირების და სსრ კავშირის და საბჭოთა რესპუბლიკების ორდენებით დაჯილდოვებულთა შეიღები მიიღებთან მუშფაკის მსმენელად მუშების თანაბრად, უკეთუ მათ აქვთ ფიზიკური მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ ერთი წლისა.

5. მუშფაკში მიღება სწარმოებს თავისუფალი მიღების წესით (ადგილების განაწილების გარეშე), და ყოველ მუშას და კოლმეურნეს შეუძლია განცხადების უშუალოდ წარდგენა უახლოესი მუშფაკის გამგისათვის.

**შენიშვნა.** საწარმოს მუშფაკის მსმენელებად მიიღებიან მხოლოდ ადგილობრივი მუშები, წარმოებიდან მათ ჩამოუშორებლად.

6. მუშფაკში შემსვლელება უნდა წარმოუდგინოს მუშფაკის დირექტორს შემდეგი დოკუმენტები (დედანი):

- ა) მოწაობა სოციალური მდგომარეობისა და საწარმოო სტაჟის შესახებ;
- ბ) დამკვერელობის მოწაობა (თუ ირიცხება დამკვერელად);
- გ) დაბადების მოწაობა;
- დ) მოწაობა სწავლის შესახებ;
- ე) მოწაობა სამხედრო ბეგარისადმი დამოკიდებულების შესახებ;
- ვ) ჯანმრთელობის მოწაობა;
- ზ) მუშფაკში წესელის ანექტა, დამოწმებული მიმვლინებელი ორგანიზაციის მიერ;

თ) ცნობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რაოდენობის შესახებ;

ი) ორდენით დაჯილდოების სიგელის ასლი (თუ შემსვლელი ორდენით დაჯილდოებულის შეილია);

კ) ორი ფოტოგრაფიული სურათი, სათანადო ორგანოების მიერ დამოწმებული.

7. მუშფაკში შემსვლელის აკადემიური მომზადების გამორკვევის მიზნით მოხდება გამოცდა მშობლურ ენაში (რა ენაზედაც სწავლა სწარმოებს, არითმეტიკაში და პოლიტანბანში), ზოგადგანათლების საგნებში—ოთხწლედის პროგრამის მიხედვით, პოლიტიკურ საგნებში—პირველი საფეხურის პარტსკოლის პროგრამის მოცულობით.

8. მისაღებ გამოცდებს აწარმოებს მუშფაკის პედაგოგიკური პერსონალი მუშფაკის დირექტორის და სასწავლო ნაწილის გამგის უშუალო ხელმძღვანელობით; ამ უკანასკნელთ ეკისრებათ პასუხისმგებლობა გამოცდებზე მიშვებისათვის.

9. მუშფაკში მიღებულთა სოციალურ შერჩევის და, აკადემიური შემოწმების შედეგების მიხედვით, მსმენელად ჩაირიცხვას აწარმოებს მუშფაკის მიმღები კომისია და ამტკიცებს მუშფაკის დირექტორი.

10. მიმღები კომისია მოეწყობა შემდეგი შედგენილობით: ა) მუშფაკის დირექტორი (თავმჯდომარე), ბ) პარტრაიკომის წარმომადგენელი, გ) ალკის

რაციონის წარმომადგენელი, ვ) იმ სახალხო კომისარიატის ან სამეურნეო ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომლის გამგებლობაშიაც მუშაყვია, ე) სათანადო პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის წარმომადგენელი და ვ) მუშაყვის პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციებისა და თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენელი.

11. განცხადებების მიღება სწარმოებს ივლისის 15-დან აგვისტოს 15-მდე; აგვისტოს 15-დან აგვისტოს 25-მდე სწარმოებს გამოცდები, ხოლო აგვისტოს 25-დან სექტემბრის 1-მდე მთავრდება ყოველგვარი საორგანიზაციო მუშაობა ისეთი ვარაუდით, რომ მეცადინეობა დაწყებულ იქნეს სექტემბრის 1-დან.

12. მუშაყვი მიღებული მსმენელი, რომელიც სამი ღლის განმავლობაში არ გამოცხადდება მეცადინეობაზე არაპატივისაღები მიზეზით, გამოირიცხება მსმენელთაგან.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. ვ. ლუჩკევიჩი.

1933 წ. ივლისის 31.

ტფილისი

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 180 პე-ში 1933 წ. აგვისტოს 6.

## ჯანმრთელობის დაცვა

### 261. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„სამედიცინო დარგის მომუშავეთა პროფესიონალური მუშაობისა და უფლებამოვალეობათა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 32 მუხლის შეცვლისა და ამ დადგენილებისათვის 32<sup>1</sup> და 32<sup>2</sup> მუხლების დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს 1927 წ. მაისის 20-ის დადგენილებაში „სამედიცინო დარგის მომუშავეთა პროფესიონალური მუშაობისა და უფლება-მოვალეობათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-5 №-ი მუხ. 79) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 32 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„32. ფარმაციის სფეროში მუშაობის უფლება აქვს:

ა) იმ პირს, ვინც დაამთავრა ფარმაცო-ქიმიური ფაკულტეტი ან სათანადო ინსტიტუტი;

ბ) იმ პირს, ვინც დაამთავრა ფარმაცო-ქიმიური ტექნიკუმი;

გ) იმ პირს, ვისაც აქვს მოწმობა ფარმაციის მაგისტრისა, პროფიზორისა და სააფთიაქო თანაშემწის წოდებისა, და იმ პირს, რომელმაც გაიარა სპეციალური მოკლევადიანი კურსები;

დ) იმ პირს, ვისაც მიუღია საფარმაცევტო განათლება უცხოეთის სასწავლებელში და ჩაუბარებია დაწესებული გამოცდები სპეციალურ სასწავლებელში, რომელსაც დანიშნავს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი.

**შენიშვნა.** უცხოელი ფარმაცევტი, რომელსაც მიუღია უცხოეთში დამთავრებული განათლება და აქვს სამეცნიერო ნაშრომები, ან რომელსაც პრაქტიკულად უმუშავნია, შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცდისაგან\*.

2. ზემოაღნიშნულ დადგენილებას დაემატოს 32<sup>1</sup> და 32<sup>2</sup> მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„32-<sup>1</sup> იმ პირს, ვისაც გაუთავებია ფარმაცო-ქიმიური ფაკულტეტი ან სათანადო ინსტიტუტი, და აგრეთვე იმას, ვისაც აქვს ფარმაციის მაგისტრის და პროფიზორის წოდება, უფლება ეძლევა:

ა) დაიპიროს საადმინისტრაციო თანამდებობა სააფთიაქო სამმართველოში; ჰმართოს აფთიაქი და დაიპიროს უმაღლესი თანამდებობა აფთიაქში—რეცეფტარისა, კონტროლორ-ანალიტიკოსისა; ჰმართოს სააფთიაქო საწყობი და განავოს საწყობის განყოფილება;

ბ) განავოს საწარმოო ფარმაცო-ქიმიური ლაბორატორია და ქარხანა, გალენის პრეპარატებისა და ორგანო-თერაპიული პრეპარატების ლაბორატორია და აგრეთვე დაიპიროს თავისი სპეციალობის სხვა თანამდებობა ამა მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებულ დაწესებულებებში;

გ) დაიპიროს სასამართლო-ქიმიური ლაბორატორიის და ტოქსიკოლოგიური ლაბორატორიისა, წამლების ნედლეულის და მზა-წამლების გამოცდის საკონტროლო-საანალიტიკო ლაბორატორიის ხელმძღვანელის და ანალიტიკოსის თანამდებობა; პროფესიონალურ დაავადებათა, შრომის ჰიგიენისა და სასანიტარო-საჰიგიენო ინსტიტუტების ქიმიურ განყოფილებათა ანალიტიკოსისა და ხელმძღვანელის თანამდებობა; სასანიტარო-საჰიგიენო ანალიზის ანალიტიკოსის თანამდებობა კვების ინსტიტუტში;

დ) იმუშაოს სამკურნალო მცენარეთა კულტურისა და სამეცნიერო-საკვლეპო და პედაგოგიკური საქმიანობის სფეროში.

**შენიშვნა.** ამა მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებებში ხელმძღვანელის, მმართველის და გამგის თანამდებობის დაქვრის უფლება ეძლევათ ზემოხსენებულ პირთ მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ისინი გაივლიან პრაქტიკულ სტაჟს არა ნაკლებ ორი წლისა და მიიღებენ სათანადო დასკვნას\*.

„32-<sup>2</sup>. იმ პირს, ვისაც გაუთავებია ფარმაცო-ქიმიური ტექნიკუმი, და აგრეთვე იმას, ვისაც აქვს სააფთიაქო თანაშემწის წოდება, და იმ პირს, რომელსაც გაუღვია მოკლევადიანი სპეციალური კურსები ამა დადგენილების გამოცემაზე, უფლება ეძლევა დაიპიროს ტექნიკური მომუშავის თანამდებობა 32<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებებში: ლაბორანტისა, ასისტენტისა და სხვ.

შენიშვნა. 32<sup>3</sup> მუხლში აღნიშნულ პირობ, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ნებართვით, შეიძლება მიეცეთ სოცლის-აფთიაქის მართვა“.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარის მოვ. აღმ. თ. ჟღენტი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივნის მაგ. მ. ვარაშაშვილი.

1933 წ. ივლისის 24.  
ტფილისი.

## სოციალური უზრუნველყოფა

### 262. დადგინდება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

პერსონალური პენსიების დებულების 31 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

პერსონალური პენსიების დებულების 31 მუხლი (საქ. სსრ. კან. კრ. 1933 წ. მე-3 №-ი, მუხ. 47) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„31. პერსონალური პენსიონერის გამოსახლება (ან გადასახლება) მის მიერ დაქვრივი ფართობიდან შეიძლება სასამართლო წესით და, სპეციალური კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებში, საადმინისტრაციო წესით (სამხედრო უწყებისა და ტრანსპორტის საბლემიდან, სასკოლო სადგომებიდან და სხვ.), მხოლოდ იმ პირობით, რომ მას მიეცეს საცხოვრებლად ფარგისი სხვა ფართობი არა ნაკლებ იმ სივრცისა, რაც მას ეჭირა, და სატრანსპორტო საშუალებანი გადასასვლელად“.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარის მოვ. აღმ. თ. ჟღენტი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივნის მაგ. მ. ვარაშაშვილი.

1933 წ. ივლისის 27.  
ტფილისი.

## სისხლის სამართალი

### 263. დადგინდება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისათვის 71<sup>1</sup> და 84<sup>1</sup> მუხლების დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 71<sup>ა</sup> და 84<sup>ა</sup> მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„71<sup>ა</sup>. ყალბი პასპორტის გაკეთება და აგრეთვე ყალბი პასპორტის მფლობელის სხვისი პასპორტის გამოყენება გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე“.

„84<sup>ა</sup>. პასპორტის და ვინაობის დროებითი მოწმობის ჩაწერის წესების დარღვევა გამოიწვევს

პირველად—ჯარიმას ას მანეთამდე, რაც დაიდება საადმინისტრაციო წესით; მეორედ—იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ჯარიმას ხუთას მანეთამდე“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის თან. აღკ. თ. უდენტო.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. შვალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდიენის მაგიერ მ. ვარაშაშვილი.

1933 წ. ივლისის 27.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გახ. „კომუნისტის“ 173 №-ში 1933 წ. ივლისის 29.

## 264. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

შრომა-გასწორების კოდექსში 41, 52 და 53 მუხლების შეცვლით, 55<sup>ა</sup> მუხლის შეტანითა და 49<sup>ა</sup>—მუხლის გაუქმების შესახებ.

იძულებითი მუშაობის მომხდელ პირთა სამუშაო ხელფასიდან დასაკერი თანხების ზღვრული ნორმების დაწესების შესახებ მიღებული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1933 წ. მარტის 27-ის დადგენილების შესაბამისად (ოქში 1933 წ. მე-60 №-ი), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

შრომა-გასწორების კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 41 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-11 №-ი, მუხ. 149; 1932 წ. მე-20 №-ი, მუხ. 184) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„41. იძულებითი მუშაობა დაუპატიმრებლად, როგორც სოციალური დაცვის ღონისძიება, შეეფარდება შემდეგი სამი სახით, რაც ერთმანეთისაგან განსხვავდება იმით, თუ რამდენად შეზღუდულია იძულებითი მუშაობის მომხდელი პირის პირადი თავისუფლება:

ა) იძულებითი მუშაობა იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ სამუშაო ან სასახური, რომელი მუშაობაც, როგორც საერთო წესი, მოიხდება ამ პირთა სამუშაო ან სასახურის ადგილას;

ბ) იძულებითი მუშაობა სხვა კატეგორიის პირთათვის, რომელი მუშაობაც, როგორც საერთო წესი, მოიხდება ამ პირთა საცხოვრებელ ადგილას;

გ) იძულებითი მუშაობა, დანაშნული ექვს თვეზე მეტი ვადით, როდესაც

განაჩენში სპეციალურად არის აღნიშნული, რომ იძულებითი მუშაობა მოხდეს უნდა იქნეს არა სამუშაო, სამსახურის ან საცხოვრებელ ადგილას, რომელიც მუშაობაც მოიხდება შრომა-გასწორების ორგანოების სპეციალურ დაწესებულებაში ან თუ საწარმოში\*.

41 მუხლის შენიშვნა გაუქმებულ იქნეს.

ჟ. 49<sup>1</sup> მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-20 №-ი, მუხ. 184) გაუქმებულ იქნეს.

ზ. 52 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-20 №-ი, მუხ. 184) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

52. იმ პირს, ვინც იხდის იძულებით მუშაობას თავის სამუშაო, სამსახურის ან საცხოვრებელ ადგილას (41 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები), ეძლევა სამუშაო ხელფასი შრომის კანონთა კოდექსის თანახმად, ხოლო კოლმეურნეს, რომელიც იხდის იძულებით მუშაობას კოლექტიურ მეურნეობაში, ეძლევა მისი სამუშაო საშოვარი რესპუბლიკაში არსებული ერთიანი საშუალო ნორმების მიხედვით.

ამ გასამარჯელოდან დაიკირება იძულებითი მუშაობის ბიუროს, მისი განყოფილების ან იძულებითი მუშაობის ბიუროს განყოფილების უფლების მქონე დაწესებულების სასარგებლოდ 25<sup>0</sup>/<sub>6</sub>-დე, იძულებითი მუშაობის მომხდელი პირის ოჯახური და მატერიალური მდგომარეობის ანგარიშში მიღებით.

იუსტიციის სახალხო კომისარიატი, სათანადო უწყებებთან შეთანხმებით, ამყარებს: ა) იძულებითი მუშაობის მომხდელ პირთა სამუშაო საშოვრიდან თანხების დაკერის წესს და ბ) კოლმეურნის შემოსავლის შეფასებას შრომა-დღეებით მთლად რესპუბლიკაში.

ჟ. 53 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-11 №-ი, მუხ. 149) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

53. შრომა-გასწორების ორგანოების სპეციალურ დაწესებულებაში ან თუ საწარმოში იძულებითი მუშაობის მომხდელი პირი (41 მუხლის „გ“ პუნ.) კვებისა, კმაყოფისა და გასამარჯელოს მხრით გათანაბრებულ არიან თავისუფლების აღკვეთის დახურულ ადგილებში დაპატიმრებულებთან\*.

ბ. 53 მუხლის შენიშვნა (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-11 №-ი, მუხ. 149) გადაკეთებულ იქნეს 53<sup>1</sup> მუხლად.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. მხალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი თ. უღენტი.

1933 წ. ივლისის 27.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გან. „კომუნისტის“ 186 №-ში 1933 წ. აგვისტოს 14.

## სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

265. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 28 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ.

„სრულიად საკავშირო საეკვირო პალატასთან არსებული საზღვაო საარბიტრაჟო კომისიის დებულების შეცვლის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის იანვრის 8-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1933 წ. მე-2 №-ი, მუხ. 12), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 23 მუხლს დაემატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა 2. საზღვაო ნავტურკლების მიერ ერთმანეთისათვის ან საზღვაო ნავტურკლის მიერ სამდინარეო ნავტურკლისათვის თუ პირიქით ვაწეული დახმარების ანაზღაურების გამო აღძრულ დავას, აგრეთვე საზღვაო ნავტურკლების ან საზღვაო ნავტურკლისა თუ სამდინარეო ფლოტის ნავტურკლის დაჯახებიდან, ან და საზღვაო ნავტურკლის მიერ საპორტო ნაგებობისათვის მიყენებული ზიანიდან გამომდინარე დავას, უკეთეს მხარეში თანახმანი არიან, გადასწყვეტს სრულიად საქართველო საავტორო პალატასთან არსებული საზღვაო საარბიტრაჟო კომისია“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის კომიტეტის თავმჯდომარის მოვ. აღმ. თ. ფლენტი.  
 საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალოზლიშვილი.  
 სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. მ. ვარამაშვილი.

1933 წ. ივლისის 27.  
 ტფილისი.  
 გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 202 №-ში 1933 წ. სექტემბრის 2.

**266. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.**

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 350 მუხლის „ბ“ პუნქტის შეცვლისა და ამავე მუხლისათვის „ბ1“ პუნქტის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 350 მუხლის „ბ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:  
 [350. შეკრული ქონება რეალიზებულ უნდა იქნეს შემდეგი წესით:...] „ბ) კულაკურ მეურნეობაში აწერილი თესლეული გადაეცემა კოლექტიურ მეურნეობას და საგლეხო საურთიერათო დახმარების საზოგადოებას უწყებელი ადგილისათვის დადგენილ სადამხადებლო ფასად“.
  2. იმავე მუხლს დაემატოს „ბ1“ პუნქტი შემდეგი შინაარსისა:  
 „ბ1 ოთხფეხი საქონელი, რაც სოფლის მოსახლეობას აეწერება, უნდა გადაეცეს „ზავოტსკოტა“-ს ორგანოებს სახელმწიფო სადამხადებლო ფასად“.
- სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მოვ. აღმ. თ. ფლენტი.  
 საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალოზლიშვილი.  
 სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. მ. ვარამაშვილი.

1933 წ. ივლისის 27.  
 ტფილისი.  
 გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 203 №-ში 1933 წ. სექტემბრის 3.

